ცნობის ფურცელი

№ 2208 ორშაბათი, 14 ივლისი 1896—1903 [illegible] დღიური გამოცემა № 2208

ხელისმოწერის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: პეტიტის სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში გოლოვ. ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372

3 მან. და 50 კ. ღირს ყოველდღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი"

კვირაში ორის სურათებიანის დამატებით 1 ივლისიდან წლის დამლევამდე

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. პალლიზენ

რჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. **ტელეფონი № 679.** (0—95)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

მ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 11—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და შაბათობით, 11—12 საათამდე.

მრ. მ. სოგოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

სამკურნალოს აქვს ოთხი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები—სამი მანათიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიამინოვსკის ქუჩა, სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., სად. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

რადგან კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

1 ივლისიდან 10 აგვისტომდე სოფლად იქმნება, ავადმყოფების მიღება ტფილისში ამ დრომდე შეწყვეტილი იქმნება. (5—5)

ახალი ამბავი

◆ ბაქოს გაზეთ „კასპი"-ში დაბეჭდილია: „რადგან ექვსი დღე მატარებლების მიმოსვლა შეჩერებული იყო, საქონლის სადგური ბაქოში სავსეა ნავთის ვაგონებით. ეს ნავთი ბათუმში უნდა გაეგზავნათ. 10 ილისს, საღამოს 10 საათზე დროებით შეწყვეტილმა ტელეფონმა მუშაობა განაახლა ბაქოსა და ბალახანს შორის. 11 ივლისიდან ხელ-ახლა დაიწყეს მუშაობა ბაქოს სხვა-და-სხვა სახელოსნოებმა. ქალაქის ტრამვაიზე ვაგონები თანდათან ემატება. 10 ივლისს მხოლოდ ორიოდე ვაგონი გამოვიდა. ვაგონებს ჯერ კიდევ ჯარის-კაცნი ახლავან. კონდუქტორებად და კუჩერებად, ორიოდეს გარდა, ახლები არიან, რომელნიც საქმეს სულ არ არიან შეჩვეულნი. ჩორნი გოროდში ქარხნები მთელი ერთი კვირა არ მუშაობდნენ. 11 ივლისს განაახლეს მხოლოდ მუშაობა, თუმცა მუშათა რიცხვი ჯერ კიდევ მცირეა. მთელი ექვსი დღე ნავთის მილით ნავთის გაგზავნა ბაქო-ვოლჩივოროტას და ხაშურ ბათუმ შორის შეჩერებული იყო. ნავთის გასაგზავნ სადგურების აუზები ძალზე სავსეა ნავთით. რადგან მატარებლების მიმოსვლა რამდენისამე დღით შესწყდა, ბევრ პატარა სადგურს ბაქოსკენ სურსათი შემოაკლდა. მიზეზი ის იყო, რომ ამ ხნის განმავლობაში დუქან-ვაგონები არ მოქმედებდა. 7 ივლისს შეწყვეტილი მუშაობა მოსწავლეებისა სატეხნიკო სასწავლებელსა და სახელოსნო სკოლაში 10 ივლისს განაახლეს. როგორც გავიგეთ, ბაქოს სამრეცხაოებში მომუშავე ქალებს განზრახვა აქვთ საერთო თხოვნა შეიტანონ ქალაქის გამგეობაში და მოითხოვონ სამუშაო დროს განწესრიგება. ბაქოში ჩამოვიდა მინგრელის რაზმის ბატალიონი. ქალაქის გამგეობამ წევრს საფარალიევს მიანდო, რამდენადაც ქალაქის მხრივ შესაძლებელია, შემწეობა აღმოუჩინოს ამ ბატალიონს. ბაქოში ჩამოვიდნენ: ტფილისის სამოსამართლო პალატის ბრალმდებლის ამხანაგი მ. ე. შულცი—ტფილისიდან, კავკასიის მსროლელთა ბატალიონის უფროსი ამასეისკი—გორიდან და ასი ყაზახი უმანის რაზმისა. ღამე წეს-რიგის დასაცავად ქალაქში ყაზახთა რაზმები დადიან. დაიწყო მუშაობა „ელექტრონულ ძალის" საზოგადოების საელექტრონო სადგურმა. ეს სადგური ანათებს საზოგადო დაწესებულებებს, მაღაზიებს, კერძო სადგომებს და სხვას. ამ ჟამად სადგურს ჯარი სდარაჯობს".

◆ მესამე დღეა ტფილისის ყასბები საქონელს აღარა ჰკლავენ და ხორცს აღარა ჰყიდიან. ხორცი არც ქალაქის დუქნებში იყიდება, რადგან სალახებმა (საქონლის დამკვლელებმა) ხელი აიღეს მუშაობაზე. სალახები მუშაობის სიძნელეს უჩივიან, ყასბები—ქალაქის გამგეობასა და ბეითლებს. ქალაქის გამგეობა ბევრს სცდილობს, მაგრამ ჯერჯერობით ვერა გააწყო-რა. საქმის ასეთ ვითარების გამო რესტორანებსა და მსხვილ ფირმების პატრონებმა სთხოვეს გუბერნატორს ნება მისცეს კერძოდ საქონლის დაკვლისა. გუბერნატორმა როგორც მთხოვნელთ, ისე ქალაქის მკვიდრთ ნება დართო თავიანთ საჭიროებათათვის დაჰკლან საქონელი. ხორცის სიძვირით ისარგებლეს სხვა სანოვაგის ვაჭრებმა და მეტად გააძვირეს ქალაქში ყველაფერი. განსაკუთრებით ქათმებსა და სხვა ფრინველს ერთი სამად უფრო ძვირად აფასებენ. ზოგმა რესტორანის პატრონმა კოჯრიდან და ბორჯომიდან დაიბარა ხორცი.

◆ ფინანსთა სამინისტროს განუზრახავს, როგორც „ნოვ. ობ." გადმოგვცემს, ჭიათურის შავის ქვის ექსპორტის საქმეში მონაწილეობა მიაღებინოს ორ ბანკს—რუსეთის საგარეო ვაჭრობისათვის არსებულსა და ხარკოვ-აზოვის საკომერციო ბანკებს. სამინისტროს უნდა ამით შავის ქვის ექსპორტი გააწესრიგოს. ბანკები სააგენტოებს მოაწყობენ ჭიათურაში. ამას გარდა გამართავენ ქარხანას ქვის გასაწმენდად.

◆ **გორის** ქალაქის თვით-მმართველობის რწმუნებულთა არჩევნები დანიშნულია 15 ოქტომბრისათვის.

◆ დედათა **მეოთხე გიმნაზიის** დაარსების საქმე ტფილისში საბოლოოდ გადასწყდა. უკვე დაიქირავეს ამ გიმნაზიისათვის თავ. არღუთინსკი დოლგორუკოვის შენობა ანასტასიას ქუჩაში, ვერაზე. შემოდგომაზე გახსნიან მოსამზადებელ კლასის ორ პირველ განყოფილებას და ოთხ კლასს.

◆ ჰფიქრობენ, როგორც „ნ. ობ."-ს შეუტყვია, გააუქმონ **სახელმწიფო შემნახველი კასები** შემდეგს სადგურებში: ქობულეთსა, საჯავახოსა, სუფსასა, სამტრედიასა, ფოთსა, ძირულასა, ქარელსა, გრაკალსა და კასპში. მიზეზი ის არის, რომ კასებით ხალხი ნაკლებ სარგებლობს.

◆ ტფილისის **სამხედრო საკრებულოს** თავმჯდომარედ ტფილისის მოურავია. მოურავი ჰნიშნავს ამ საკრებულოს მდივანს. ტფილისის მოურავს თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვს ეხლა უცნობებია გუბერნატორისათვის, მე კანდიდატი არა მყავს მდივნის თანამდებობაზე და გთხოვთ თქვენ დანიშნოთ მოხელეო. საკვირველია, რომ ქალაქის მოურავმა შესაფერი კაცი ვერ იპოვნა მდივნის თანამდებობაზე.

◆ **საქართველოს ეგზარხოსი**, როგორც შევიტყეთ, პეტერბურგიდან ტფილისს აგვისტოს შუა რიცხვებში დაბრუნდება.

◆ როგორც „კასპი" გადმოგვცემს, გზათა მინისტრის ნებართვით ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი იწვევს იმათ, ვისაც საშუალო სასწავლებლის 4 კლასი ან საქალაქო სასწავლებლის 5—6 კლასი გაუთავებია, შეისწავლონ უსასყიდლოდ ამწონისა და კანტორის გამგის ხელობა. ამათ, შესწავლის შემდეგ, სამსახურში მიიღებენ.

◆ ტფილისის ხელოსანთა მოურავმა დააბეჭვინა განცხადებები და 12 ივლისს დაურიგა ხელოსანთა ქარგლებსა, დურგლებსა, ფეხსაცმელების მკერვალთ, ტანისამოსის მკერვალთ და სხვებს. განცხადებებში რუსულსა, ქართულსა, სომხურსა და სხვა ენებზე გადაცემულია შინაარსი სახელოსნო წესდების იმ მუხლებისა, რომელიც შეეხება სახელოსნოებში მუშაობას.

◆ ტფილისის **სასულიერო სემინარიაში** დამატებითი ეგზამენები დაიწყება 20 აგვისტოდან. გაზაფხულზე მიიღეს პირველ კლასში 30 კაცამდე, ვაკანსია-კი 50 იყო.

◆ **ბორჩალოს მაზრაში**, როგორც გვატყობინებენ, წელს კარგი მოსავალია პურისა და ქერისა. ვენახებსაც ჯერ ჯერობით კარგი პირი უჩანს, თუმცა ზოგგან სეტყვამ დააზიანა.

◆ დიდის წვიმებისაგან ჩამოტანილი ქვიშა, ნაგავი და ქვა სასამართლოსა, მამადავითისა, მთაწმინდისა, ყაფიანისა, კოხლიბევისა, მეჟევისა და სხვა ქუჩებზე დღესაც არ აუღიათ, რის გამო მეტად შეწუხებულნი არიან გამვლელ-გამომვლელნი. პოლიციის მეორე ნაწილის ბოქაულმა სთხოვა ამ დღეებში ქალაქის გამგეობას, გაგზავნოს ქუჩების მხვეტველთა რაზმი აღნიშნულ ქუჩების დასასუფთავებლად.

◆ პოლიციის მე-4 ნაწილში, ნოვობებუთოვის ქუჩაზე, მიწა ჩაწვა ისე ღრმად, რომ საშიშია მოსიარულეთათვის. გუშინ წინ ბოქაულმა ეს ამბავი აცნობა ქალაქის გამგეობას და სთხოვა განკარგულება მოახდინოს ამ ქუჩის შესაკეთებლად.

◆ პოლიციის მე-9 ნაწილის ბოქაულმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას: კოჩუბეის ქუჩაზე გამგეობის საამშენებლო განყოფილების ნება-დაურთველად ამ ქუჩის მცხოვრები დავით თხილაძე აშენებს მეტად საშიშოდ სახლსაო. ბოქაული სთხოვს ქალაქის გამგეობას მიჰგზავნოს ტეხნიკოსი ამ შენობის შესამოწმებლად.

დაბა-სოფლები

სოფ. ხორგა (სამეგრელო). ხორგა ერთი უდიდესი სოფელია ზუგდიდის მაზრაში, ჩვენი სოფელი უწინ მდიდარი და დოვლათიანი ყოფილა, ეხლა-კი ძლიერ სხვასავით გაღარიბდა. განქრა სოფლელისთვის ის ნეტარი დრო, როცა იმას თვალწინ, ჩრდილოეთით, გადაშლილი იყო უდაბური ტყე, საიდანაც ეზიდებოდა შეშას, სადაც ნადირობდა ირმებსა, შველს, გარეულ ღორებსა და ფრინველებზე; როცა მდ. ხობი უხვად გვაძლევდა სხვა და სხვა თევზს. მოსავალი? ეხლის ხელს რა არ მოჰყავდა აქ! იყო დრო, როცა თესავდნენ პურს, ღომს, მჭადს, ფეტვს, სიმინდს; როცა ეხლს საკმაოდ მოჰყავდა ღვინო, როცა აქ მისდევდნენ მეფუტკრეობას. ეხლა-კი მარტო სიმინდი გამხდარა სოფლელის ყველაფერი: სიმინდით უნდა არჩინოს, ჩააცვ-დაახუროს ცოლშვილს; იმით უნდა გაუძლევს გადასახადებს; ამას შეჰყურებენ მსხვილ და წვრილ-ფეხა საქონელი და შინაური ფრინველი. ამას თუ დაუმატეთ ისიც, რომ სიმინდი ფუთი ღირს ორ აბაზად, რომ მდ. ხობმა წყალდიდობის დროს, ივლისში, უსათუოდ უნდა მიაყენოს სოფლელთ ხუთი ათასი მან. ზარალი, ყველა მიჰხვდება ჩვენის სოფლის გაჭირვებულ მდგომარეობას.

სწავლა-განათლებითაც ჩვენი სოფელი დაქვეითებულია. სოფელში სკოლების ნაცვლად დუქნებია. ყოველ ფეხის გადადგმაზე შეჰხვდებით დუქანს. ეხლა სადამოობით და კვირა უქმე დღეებში ამ დუქნებში ატარებს დროს. არის ჩვენ სოფელში სამინისტრო სასწავლებელი, მაგრამ... სასწავლებელთან რუსული წიგნთ-საცავია. თითქმის ოცი წელიწადი არსებობს ეს სასწავლებელი და სამი თუმნის წიგნს ძლივს იპოვნით. თავებმა შესჭამეს თუ თვით მასწავლებლებმა, ამ წიგნებს არც თავი აქვთ და არც ბოლო. ამ წიგნთ-საცავისთვის, როგორც ამბობენ, ყოველ წელიწადს ფული იგზავნება.

ი. ხორგელი.

—

სოფ. რუისი (ქართლი). ბოლო დროს მოუდო ჩვენში ქურდობას. ჯერ ისევ ნაყოფი ხეზედ მწიფდება, რომ სოფლის ქურდ-ბაცაცები შეუდგნენ თავიანთ ხელობას. ხილი იმდენად არ არის დასანანი, რამდენადაც თვით ხეხილები, რომლის ტოტებსაცამტვრევენ და აფუჭებენ. ამას გარდა ანგრევენ ღობეებს, რის გაკეთებაც ჩვენში ძალიან ძნელია, რადგანაც მასალას, ე. ი. ჯაგს და მარგილს ეიდულობენ შორეულ სოფლებში. შემდეგ ამ ქურდ-ბაცაცების ნავალზე გადადის საქონელი და ამნაირად სწორდება თხრილები და ღობეები. ეთომდა ჩვენში ყარაულიც არის დაარსებული, რომელმაც სოფელი უნდა დაიცვას ამნაირ ქურდობისაგან, მაგრამ სოფელი ისეთებს ირჩევს ამ თანამდებობაზე, რომელნიც ოდესმე თვითონ ადგნენ ამ ხელობას.

დიდი ხანია რუისელებს ჰქონდა დაარსებული სამკითხველო და იქნება ეხლა მაინც გვეღირსოს ამ აზრის განხორციელება. განზრახულია მომავალ სამკითხველოს სასარგებლოდ გამართონ ხოლმე წარმოდგენები და საღამოები.

განვიზრახეთ აგრეთვე ბაქნის დარსება ს. ურბნისის პირდაპირ, 3 ვერსის მანძილზე სად. სკრიდან. უნდა ვსთქვათ, რომ სად. სკრა ძალიან უადგილო ადგილას არის გამართული, რადგან სოფლები დაშორებულია. ის ადგილი-კი, სადაც ჩვენ განვიზრახეთ ბაქნის დაარსება, ახლოა როგორც რუისსა და ურბნისზე, აგრეთვე ქვემო და ზემო ხვედურეთსა, ეძლევს, ქვენა-ფლავსა და სხვ. ეს ბაქანი დიდ სარგებლობას მოუტანს აგრეთვე გარიანელებს, საქაშნელებს, საცორელებს, შინდელებს, ახალდაბელებს და სხ., მეტადრე გაზაფხულობით, როდესაც ადიდებულ ლიახვზე გასვლა შეუძლებელი ხდება და მცხოვრებნი მოდიან ურბნისზე სად. სკრაში. ხშირად მგზავრნი, იმ აზრით, რომ ფეხით სასიარულო გზა შეამცირონ, სკრაში უხდებიან საქონლის მატარებელს და როცა ურბნისის ბორანს დაუპირდაპირდებიან, ხტებიან მატარებლიდან, მაგრამ ვაი იმ გადმოხტომას: ზოგს თავ-პირი აქვს დამტვრეული და ზოგიც ისეა დასახიჩრებული, რომ კარგა ხანს ვერა რჩება.

რუისელი

—

აბაშა (იმერეთი). 7 ივლისს აბაშაში ქუთაისის მომღერალთა გუნდმა მიხ. კავკასის ლოტბარობით და ანდრია ხანთაძის გამგეობით გამართა სამ-განყოფილებიანი ქართული „კონცერტი". შეიძლება ვინმეს ეინტერესებოდეს, ამიტომ ადგნო-

შიგ რა სიმღერები შესრულდეს: „მერანი" ბარათაშვილისა, მუსიკა საყვარელიძისა; „იავარდა"—ოპერა თამარ-ცბიერიდან—ბალანჩივაძისა; „შემშრალა" მისივე; „შენ აზრუმის" მისივე; „ვარი-ვარდედა" გადაღებული კეკელიასაგან; „დარგაისკი მარში" (რუსულიდან); „არაზნესუუტსია" (რუსულიდან); „გოგონა" (სომხური); „შეგხვდით ხელადით" გადაღებული რატილისა, „მამა"; „იავნანა"; გადაღებული მ. კეკელიასაგან; „მაყი-მამყი"—ქორიძისა; „ფერხული"—ფოცხვერაშვილისა; „მარში" (რუსულად); „გოგონა გოგო" (რუსულიდან); „დალიმონტე" (სომხური); „ვახტანგ მეფე"—ფოცხვერაშვილისა; „შეკრათ" ბალანჩივაძისა; „არადე თარადე" მისივე; „აღსდგეს გმირთ-გმირო" რატილისა; „დაჯერდ ციზე" მისივე; „თვალ-შეშინა"—ჩეთვერუხინისა; „კრასავიცა რიბაჩკა" (რუსულად); „ამოზელილო მარგალიტო"—მუსიკა საყვარელიძისა. კონცერტს ხალხი ნაკლებად დაესწრო. მომღერლები თოხმაზათ დ. სუჯუნაში ჭმართავენ „კონცერტს", სადაც ახლა დიდი ბაზრობაა.

წარსულ კვირას ჩვენში მედავითნეს დიმიტრი ძველაიას თავს დაესხნენ ოთხი შეიარაღებული კაცი. ქურდებს, რომ არ ეცნოთ, პირზე მასკები აეფარებინათ. ძველაიას ცოლისათვის, რომ არ ეკივლა, პირი ტილოთი შეუკრავთ და დაუწყიათ ფულის თხოვნა. ძველაიას ჯერ უარი უთქვამს, მაგრამ, როდესაც სიკვდილით დაემუქრებიან, მიუცია ოთხასი მანეთი, რომელიც ძველაიას საზღვარგარეთ მოსწავლე შვილისათვის ნდომებია გასაგზავნათ. ძველაიამ მაზრის უფროსს შეატყობინა, რომელმაც მოახდინა განკარგულება, რომ კვათანის (დ. აბაშის ამ საზოგადოების შუა-გულშია, ძველაია ამ საზოგადოებას ეკუთვნის) საზოგადოებამ მოსძებნოს ქურდები ანუ გადაიხადოს მოპარული ფული. ქურდები ჯერ-ჯერობით ვერ უნახავთ.

წრეულს ჩვენში პარკის მოსავალი ძალიან ნაკლები იყო. ამის უმთავრესი მიზეზი, როგორც ყველგან, ისე ჩვენში აბრეშუმის თესლის სიძვირე იყო. წარსულ წლებში კოლოფს თესლს ჩვენში მანეთ-ნახევრად ჰყიდდნენ, წრეულს კი უვარგისს თესლს კოლოფს ვაჭრები ხუთ-ექვს მანეთად ასაღებდნენ. თესლის სიძვირის გამო აბაშელებმა ძალიან ბევრი დაჰკარგეს. პარკის ფასი დიდი იყო—18 მანეთიდან 20 მანეთამდე ფუთი.

ჩვენში ჯერ-ჯერობით კარგი ამინდებია. სიმინდს, რომელზედაც დამყარებულია ჩვენი სიმდიდრე, სასმელ-საჭმელი, ტანთ-საცმელი, მტერი და მოყვარე, ჭირი და ლხინი, ძალიან კარგი პირი უჩანს, თუ აღმოსავლეთის ქარმა არ გაუფუჭა, რომელიც მუდამ ჩვენის ბედ-იღბლის მონაწილეა. გლეხები ძალიან გახარებულნი არიან და მოელიან დიდ მოსავალს, მაგრამ რაც უნდა დიდი მოსავალი მოვიდეს, მაინც იშვიათი ოჯახი იქმნება ჩვენში უზრუნველ-ყოფილი წლის სარჩოთი. მიზეზი ის არის, რომ გლეხი გაჭირვების დროს ადვილად იმეტებს და ჰყიდის ჩალის ფასად დიდის შრომით და ტანჯვით მონაგარ სარჩოს, ხოლო, როცა შემოაკლდება, ორჯერ ძვირად ყიდულობს აქაურ ვაჭრებისაგან.

კვათანელი ნესტორი.

წერილი რედაქციის მიმართ

მოწყალეო ხელმწიფევ, ბატონო რედაქტორო! ეს რვა წელიწადია, რაც ვემსახურები ქუთაისის ქართულ სცენას და ამ ხნის განმავლობაში არ მინახავს ჩვენი თეატრი ისე უპატრონოდ მიგდებული, როგორც ეხლაა. 22 ივნისს ამ თეატრში საქველმოქმედო წარმოდგენა გაიმართა. ბილეთები ხელზედ იყიდებოდა, ამიტომ წარმოდგენის დღეს, დილის 11½ საათიდან დაწყებული, გამგე ქალები ისხდნენ კასსაში და ჰყიდნენ ბილეთებს. საღამოს 8½ საათზე გაჩნდა კასაში ქ-ნი ვლადიმიროვისა, როგორც კასსირი, და მოითხოვა, რომ ჩაებარებინათ კასსა. გამგემ უთხრა: „თეატრი აღებული გვაქვს ბ-ნ პილაძისაგან (ქალაქის გამგეობის წევრი, რომელსაც თეატრი აბარია), მოწერილობა გვაქვს აგრეთვე გუბერნატორის კანცელარიისაგან, რომ ყველა ანგარიში ამ წარმოდგენისა ჩავაბაროთ გუბერნატორის მიერ დანიშნულს მოხელეს. თქვენ ვერც გიცნობთ და თუ კასსირი ბრძანდებოდით, ადრევე უნდა მოგეთხოვათ კასსის ჩაბარება, ეხლა-კი გვიან არისო". ამ სიტყვების შემდეგ ქ-ნმა ვლადიმიროვისამ უბრძანა თეატრის მოსამსახურეებს: „ხალხი არ შეუშვათ თეატრში და სცენაზე ფარდა არ ასწიოთო". ყველანი, ჩაცმულნი და გრიმ გაკეთებულნი, ვუცდიდით, როდის მოგვცემდნენ ნებას ფარდის აწევისას. თეატრში მორიგე წევრი კომისიისა არ აღმოჩნდა. გავგზავნეთ კაცი ბ-ნ პილაძესთან სახლში, მაგრამ ვერ ვიპოვნეთ, რა უნდა გვექნა? ბოლოს ხალხმა ძალა იხმარა და შევიდა თეატრში. ითხოულობდნენ წარმოდგენის დაწყებას, მაგრამ ფარდა არ ასწიეს. ყველა ამის შემდეგ წარმოდგენის გამგე იძულებული გახდა კასსა და ბილეთები ჩაებარებინა. საათის ათზედ მოგვივიდა ნებართვა ქ-ნ ვლადიმიროვისა: „შეგიძლიანთ დაიწყოთ!" ასწიეს ფარდა, მაგრამ უნდა იცოდეთ რა მდგომარეობაში ვიყავით მოთამაშენი. მართალია, გამოჩენილი არტისტები არა ვართ, მაგრამ ჩვენცა გვაქვს ნერვები, სული და გული. როგორი უნდა ყოფილიყო ჩვენი თამაშობა? ნუ თუ ქუთაისის თეატრის კომისიას თვითონ არ ძალუძს თეატრის გამგეობა და მიუნდვია ქ-ნ ვლადიმიროვისათვის, თუ არა ჰსურს შეიწუხოს თავი? ესეც არ გვაკმარა ქ-ნმა კასირმა: ჩაიბარებს ბილეთებს, იანგარიშებს, შეაყენებს „რაპორტიჩკას" და თვითონ ასწორებს ხარჯს. მაგალითად: დაიბარებს პარიკმახერს, თერძს, მუსიკას, რეკვიზიტორს, მიაქვს თვითონ თეატრის ქირა, დასაკიდებელის ქირა, დასასრულ თავის გასამრჯელო კასირობისა და თავისივე ხელით სწერს ყველა ამ ხარჯებს. კასსირი არა თუ თეატრისა, ჩვენის ფულის გამგეობასაც კისრულობს, ჩვენის ნაშრომიდან ჩვენსავე ხარჯს გვისტუმრებს. ვინ მისცა ასეთი უფლება ქ-ნ კასსირს? შეიძლება, ეს გარემოება არც-კი იცოდნენ თეატრის კომისიის წევრებმა, ამიტომ არ შემიძლია არ ვუსაყვედურო გულგრილობა. სასურველია, მომავალში მაინც აგვაცდინონ ამ გვარი უსიამოვნება.

არტისტი დავ. ჩარკვიანი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 ივლისი.

ტიანძინი. პორტ-არტურსა და სხვა ადგილებში დიდ-ძალი რუსის ჯარი იკრიბება.

ლონდონი. დეპუტატთა პალატა. დილკმა ინგლისისა და გერმანიის ურთიერთობაზე ილაპარაკა და მთავრობის პოლიტიკა გაჰკიცხა. მთავრობის პოლიტიკა მეტად ცვალებადია და ბრიტანიის ინტერესებისათვის საზარალოა. მთავრობა უწინდელად ფიქრობდა, რომ გერმანია დამხმარედ ჰყოლოდა რუსეთის წინააღმდეგ; მაგრამ ეხლა, როდესაც მეტად გვიანდაა, ძლივს მიჰხვდა, რომ ეს ისეთივე ოცნება იყო, როგორც იყო ფიქრი იმაზე, რომ იტალიასთან კავშირი შეეკრათ საფრანგეთის წინააღმდეგ. გრეიმ რუსეთთან შეთანხმებაზე ილაპარაკა. ლორდ-კრანბორნმა განაცხადა, მაკედონიის საქმეში ახალი არაფერი არ მომხდარა და ზოგიერთში გაუმჯობესებაც დაეტყო. სპარსეთის თაობაზე კრანბორნმა სთქვა: რუსეთის კარანტინი ავღანისტანის საზღვარზე ხელს უშლიდა ინგლისს, ინდოეთიდან საქონელი გადმოეტანა. ინგლისს საჩივრის ნება ჰქონდა, მაგრამ ინგლისმა სპარსეთისაგან ახალი უფლების მოპოვება არჩია: ახალის სავაჭრო ხელშეკრულობის ძალით სპარსეთი ინგლისისათვის საზარალო სატამოჟნო ბაჟებს ვეღარ დაადებს საქონელს. ინგლისს როდი უნდა ეშინოდეს იმისა, რომ ჩინეთში სხვა სახელმწიფოებმა მეტოქობა გაუწიონ და რკინის გზები გაიყვანონ. ამასთანა მოცილეობა დათრგუნვილი იქნება. მანჯურიაზე კრანბორნმა სთქვა: ინგლისი ამ საქმეში იმ აზრისაა, რომ რუსეთმა განსაკუთრებული მდგომარეობა მოიპოვა მანჯურიაში. რუსეთის მთავრობამ კარგად იცის, რომ ინგლისი სიხარულით მიეგებება შეთანხმებას, ამისათვის საკმაოა, რომ რუსეთმა თითონაც მოინდომოს შეთანხმების ჩამოგდება. ინგლისმა ცხადად უნდა იცოდეს, რა ჰსურს რუსეთის მთავრობას. იაპონიას უმთავრესი ინტერესი კორეაში აქვს, ინგლისისა და ამერიკის უმთავრესი ინტერესი-კი ისაა, რომ ხელშეკრულებით ნაშოვნი უფლება და „ღია კარების" პოლიტიკა დაიცვან. თუ რუსეთის მთავრობა ინგლისის ხელშეკრულობით მოპოვებულ უფლებათა და სავაჭრო ინტერესების შესაფერის მნიშვნელობასა და ძალას აღიარებს, მაშინ ინგლისიც უარს არ იტყვის შეთანხმებაზე.

სოფია. „ბოლგარიის ტელეგრაფის სააგენტო" აცხადებს: უცხოეთის გაზეთებისაგან გავრცელებული ცნობები, ვითომ მთავარ ფერდინანდის წინააღმდეგ სამხედრო შეთქმულობა გაემართოთ, ნამდვილი ტყუილია და განზრახაა გავრცელებული იმ აზრით, რომ ხალხი დაარწმუნონ, ვითომ ბოლგარია საშიშ მდგომარეობაში იყოს.

სტამბოლი. ავსტრო-ჰუნგრეთის აქაური სამხედრო აგენტი სოფიაშიაც სამხედრო აგენტადაა; ამის მაგიერ სოფიაში კრაუს-ელისლაგო დაინიშნა. რუსეთსა და სერბიას დიდი ხანია სამხედრო აგენტები ჰყავთ სოფიაში.

რიაზანი. დიდმა ქარიშხალმა ქალაქსა და ახლო-მახლო სოფლებში ბევრ სახლს გადაჰგლიჯა სახურავი; ხეებს ძირიანად ჰგლეჯდა; რამდენიმე დატვირთული ვაგონი რელსებიდან გადააგდო, ცარიელი ვაგონები გადააბრუნა.

მოსკოვი. რუზის მაზრაში სამიწათმოქმედო არტელი (ამხანაგობა) დაარსეს; მიწა იყიდეს და საერთოდ ამუშავებენ; ამხანაგობის წევრები ერთმანეთში მარტო მოსავალს იყოფენ.

13 ივლისი

ლონდონი. საარბიტრო სასამართლოს მომხრეთა ფრანგულ ჯგუფის წევრები, რომელთაც უმეტეს ნაწილად სენატორები და დეპუტატები არიან, პარიზს გაემგზავრნენ.

პარიზი. დელკასემ მეფის სეკრეტარისაგან დეპეშა მიიღო, რომელშიაც ნათქვამია: მეფე სულით და გულით თანაუგრძნობს დელკასესაგან გამოთქმულ სურვილებს, რომ იმ კეთილ-განწყობილებას, რომელიც ეხლა საფრანგეთის პალატის და ინგლისის პარლამენტის წევრთა შორის სუფევს, ხელი შეეწყოს საზოგადო მშვიდობიანობის დამყარებისათვისაო.

რომი. კარდინალებმა დიპლომატიური კორპუსი მიიღეს. პაპის სასახლეში გაგზავნილი ელჩები და წარმომადგენლები გამოცხადდნენ საპარადო ტანისამოსში გამოწყობილნი. ისინი მიიღო კარდინალმა ორელიამ; სხვა კარდინალებით გარშემორტყმულმა დიპლომატიურ კორპუსის მოთავემ, პორტუგალიის ელჩმა, დიპლომატიურ კორპუსის მხრივ სამძიმარი უთხრა. ორელიამ სამძიმრისათვის მადლობა გადაუხადა.

ბერლინი. მთავრობამ ნება დართო 10,000,000 მარკის კრედიტი ნიაღვრისაგან დაზარალებულ მცხოვრებლების საშველად სილეზიაში.

სიდნეი. აქ მოსულმა გემმა „შტეტინ"-მა მოიტანა ამბავი, ბისმარკის არხიპელაგის კუნძულ მატუპზე მომხდარ მიწის-ძვრას იქაურობა ძალიან გაუნადგურებია.

კამიშლოვი. მაზრაში საერობო ფოსტამ დაიწყო მოქმედება.

რომი. საღამოს 7 საათზედ პაპის გვამი დიდის ამბით გადაასვენეს „წმიდა ნაწილების" კაპელიდან ახლო კაპელაში, სადაც კარდინალების, დიპლომატიურ კორპუსის, დიდებულთა და სხვა პირთა თანა დასწრებით განსვენებულს უკანასკნელად ცოდვები მიუტევეს. მაყორდომმა პაპს სახეზედ თეთრი წასახური დააფარა. ცერემონიათა პრეფექტმა გვამს ჩააცვა წითელი აბრეშუმის სუდარა და ზევიდან საბურველი გადააფარა. წარჩინებულ გვარდიელებმა გვამი ჩაასვენეს კვიპაროზის კუბოში სადაც ჩააწყვეს ლეონ XIII მღვდელ-მთავრობის დროს გამოჭრილი მენდლები და [illegible] ეტრატით, რომელზედაც აღწერილია მიცვალებულის ცხოვრება და მისი ღვაწლი. კვიპაროზის კუბოს ბეჭედი დაასვეს და ტყვიის კუბოში ჩადგეს, ტყვიის კუბო კი წითელს კუბოში ჩადგეს. გვამი უკანასკნელ კურთხევის შემდეგ გადაასვენეს ქვის სარკოფაგში და იქ დაასვენეს ზარების რეკვით და ფსალმუნების და ლოცვების გალობით. სარკოფაგის კარი ქვით ამოაშენეს.

პეტერბურგი. „პრავ. ვესტ."-ში დაბეჭდილია: უმაღლესი ბრძანება სამეურნეო მრეწველობის კაპიტალის შეცვლის შესახებ შემდეგ გუბერნიებში: ტავრიდისა, ხერსონისა, ეკატერინოსლავისა და ბესარაბიისაში; ფინანსთა მინისტრის ცირკულიარი საქციზო გარდასახადების უფროსების მიმართ იმის შესახებ, რომ ღვინის დუქნებს ნება მიეცეთ ღვინო თითონ ჩაასხან ბოთლებში.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 11 ივლისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.	93,80
ბერლინზე 100 მარკაში	—
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,40
ბერლინზე „	46,80
პარიზზე „	37,87½
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	98¾ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	100¾ მყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადვ.-მამ. ბანკისა.	95⅛ „
5% 1-ლი შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	442½ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	339¾ მყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადვ.-მამ. ბანკისა	290 გაყ.
5% ობლიგაციები რკინ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლიგ. ბაქოს საკრედ. საზოგადოებისა	—
ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	—
4½% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	
ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	191½ „

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9) ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.), 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსა და ერივანს: 1) საფოსტო № 74/76 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს, 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ. 3). სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 08 წ. (2 ს. [illegible] წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

შორაპნისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.).

განცხადებანი

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მთის უბანზე [illegible] ალექსანდრე ოლდენბურგელის [illegible] ქუჩ. სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, ხირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—121)

„კლო-უგურულის"

მამულში, ქუთაისს მახლობლად, სოფელ დიმს იყიდება **მწიფე ყურძენი.** იქვე საჭირო მუშა მევენახე და მიიღება აგრეთვე ბავშვები პრაქტიკისთვის. (2—2)

დაიბეჭდა და დარიგდა გასასყიდად ყველა წიგნის მაღაზიებს

ახალი წიგნი

„ჩვენს დედებს"

პედაგოგიური წერილები ალექ. ნათაძისა

ფასი ხუთი შაური.

ადრესი: ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა, დ. იგ. ნათაძეს. (უ. 0—16)

ცინკოგრაფია

წიგნის. გამომც. ქართველთა ამხანაგობის

ბანკის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 87ა.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდამ.

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღება შესაკერად ყოველგვარი ხელ-საქმე: თეთრეული, ფერადის ძაფებით შესაკერავები და კაბები ქალებისა და ბავშვებისათვის.

ბარონის ქუჩა, № 12. (უ. 12—10.

Дозв. ценз. Тифлисъ, 13 Іюля, 1903 г.

ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ.

(Электропеч. Груз. Издат. Т—ва)